ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №27

7 აგვისტო 2018 წელი

ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი # 2

15:00 სთ

სხდომა ჩატარდა ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის და ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისებთან ერთად

მოწვეული სტუმრები:

სსიპ ქონების მართვის სააგენტო- ქვარა ჩართოლანი

ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური- ანდრია ბასილაია

საფინანსო საქალაქო სამსახური- ლევან მიქავა

სითი ინსტიტუტი საქართველო- გიორგი აბაშიძე

არქიტექტორი-ზურაბ ბაქრაძე

თემურ კალანდაძე - ლობისტი

ანა გაბრიაძე- (უფლებადამცველი

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ :

1. კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ზარქუა

2.კომისიის წევრები: ლევან არველაძე, ალექსანდრე ხუჯაძე, ლევან დარახველიძე, გიორგი გაბაშვილი,გოჩა თევდორაძე, ვახტანგ შაქარიშვილი.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრთა უმრავლესობა.

გაერთიანებული კომისიების სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომაზე დამსწრე კომისების წევრებს გააცნო დღის წესრიგი და აღნიშნა, რომ დღის წესრიგის პირველ საკითხს განიხილავს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია, ხოლო დანარჩენ საკითხები განიხილება სხვა კომისიებთან ერთად.

1.საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილები: თბილისის მუნიციპლიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების დაფგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.
(№15-03182559-03; 15-031821260-03;)

2.ქალაქ თბილისის მერიასა და ევროკავშირს შორის „საგრანტო ხელშეკრულება ევროკავშორის გარე მოქმედბები" გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულებაში ცვლილებები

(№12-0318214120-03).

3.დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა

(№12-03181862-03)

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა ლევან მიქავამ. მისი განმარტებით, დიდუბის რაიონის გამგეობის წერილობითი მოთხოვნით, „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხების" ქვეპროგრამის წლიური გეგმიდან, 55 000 ლარის გადატანა ხდება „სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები" პროგრამაში. გლდანის რაიონის გამგეობა ითხოვს „სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები"-ს პროგრამაში მესამე კვარტლის გეგმის გაზრდას 100 000 ლარით მეოთხე კვარტლის შესაბამისად შემცირების ხარჯზე.წარმოდგენილია ასევე ჯანდაცვისა და სოციalური მომსახურების საქალაქო სამსახურის მოთხოვნა „სოციალურad დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარების" პროგრამის გაზრდა 40 000 ლარით, შესაბამისად მეოთხე კვარტლის გეგმის შემცირების ხარჯზე. დაბალანსება ხდება „სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების" პროგრამაში არსებული ეკონომიით, რაც განპირობებულია ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების დაგეგმილთან შედარებით ნაკლები რაოდენობის დაფიქსირებით.

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვა ქონდა ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრს ლილე ლიპარტელიანს. შეკითხვა ეხებოდა დიდუბის რიონის „სხვა სოციალური დახმარებების"პროგრამის ასიგნებების გაზრდას. ლილე ლიპარტელიანი დაინტერესდა, ხომ არ არის ამ პროგრამის ასიგნებების გაზრდა არჩევნებთან დაკავშირებული და რატომ მცირდება რაიონის „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხების" პროგრამა. შეკითხვაზე ლევან მიქავამ განმარტა, რომ ეს ცვლილება არანაირად უკავშირდება არჩევნებს.გამგეობა წერილობით მოთხოვნაში აღნიშნავს, რომ რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები შეჭირვებული მოქალაქეების უამრავი წერილია მიღებული მედიკამენტოზური და

სხვა სახის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების მოთხოვნით, რომელთა დაკმაყოფილება შეუძლებელია დევანდელი რესურსით, ხოლო რაც შეეხება „„დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხების“ პროგრამის შემცირებას, ამ პროგრამით მოსარგებლე მაცხოვრებელთა კომპენსაციისათვის გამოყოფილი ასიგნებების ნაწილი მოსალოდნელია მიმდინარე წლის ცხრა თვეში აუთვისებელი დარჩეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე -6 , თავი შეიკავა- გიორგი გაბაშვილმა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური, გლდანისა და დიდუბის რაიონის გამგეობები ითხოვს, მათზე მიკუთვნებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილებებს, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-7 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა პროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი წერილების დანართის შესაბამისად.**

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მერიასა და ევროკავშირს შორის „საგრანტო ხელშეკრულება ევროკავშორის გარე მოქმედბები“ გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულებაში ცვლილებები.

საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა ანდრია ბასილაიმ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირს შორის ,,საგრანტო ხელშეკრულება ევროკავშირის გარე მოქმედებები“ გაფორმებულ გრანტის ხელშეკრულების ცვლილების მიზანს წარმოადგენს, ბიზნეს აქსელერატორის განსათავსებლად შერჩეული შენობის ლოკაციის შეცვლა, რაც პოზიტიურად აისახება ხარჯებზე: მედიათეკის შენობები რემონტის თვალსაზრისით სრულად გამართულია, საჭირო იქნება მხოლოდ მინიმალური ხარჯები, გამოყოფილი ფართების აქსელერატორის ოფისებად გადასაკეთებლად, რაც საშუალებას იძლევა პროგრამით გათვალისწინებული ბენეფიციარების რაოდენობის გაზრდას, კერძოდ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული 120 ბენეფიციარის ბიზნეს პროექტის შემუშავების ნავცლად შემუშავდება 152 ბიზნეს გეგმა. გრანტის ხანგრძლივობაა ოთხი წელი, 2018-2021 წლები.
მომხრე-6, თავი შეიკავა -გიორგი გაბაშვილმა.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: .დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა.
სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა,რომ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის ის ნაწილი განიხილება, რომელიც ეკონომიკურ განვითარებასა და ქონების განკარგვის მიმართებას ეხება.საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა გიორგი აბაშიძემ.

მისი თქმით, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა ეს არ არის პირდაპირი გაგებით ეკონომიკური ხასიათის დოკუმენტი, ის არის ურბანული ხასიათი დოკუმენტი, რომელიც როგორც წესი მუშავდება ეკონომიკური რეალობების გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში როდესაც არ არსებობს ეს სტრატეგია, მუშავდება ერთიანი მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკურ რეალობებს და საფუძვლად ედება მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმას. პრობლემების ნაწილი ასახული იქნა პროექტში. მოხდა რეალობების და არსებული მასალების გაანალიზება. პირველ რიგში მოხდა კარტოგრაფიული მასალების ანალიზი, რომელიც ჯგუფის მიერ შესრულდა. დაიყო ქალაქში არსებული საკუთრებები სახეობების მიხედვით - სახელმწიფო, თვითმმართველი, საპატრიარქოს და კერძო საკუთრებები. დამუშავდა სოციალური ობიექტების არეალები, რაც მნიშვნელოვანია ქალაქის განვითარებისთვის, შეიქმნა ბაღების და სკოლების განაწილების სქემა. მოწესრიგდა საინჟინრო ინფრასტრუქტურის მონაცემები (ელექტრო ენერგია, წყალი, ბუნებრივი აირი, ინტერნეტი, სანიაღვრე), რაც პირდაპირ გავლენას ახდენს ქალაქის ეკონომიკის განვითარებაზე.

დამუშავდა თბილისში ნაკვეთების განაწილების რუკა, იურიდიულ საზღვრებში გასხვისებული ტერიტორიები, რომელიც თუ მოხდება ათვისება, შეიძლება ითქვას რომ მეორე თბილისი გაჩნდება თბილისის სივრცეში.

დამუშავდა სატრანსპორტო დაფარვის იზოქრონული რუკა, აქ არის ნაჩვენები რომელი რაიონიდან რა დრო დასჭირდება მოქალაქეს თბილისში ჩამოსასვლელად.

შესწავლილი და დამუშავებულ იქნა 2009 – 2016 წლებში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების რუკა. 2006-2008 წლიდან ფიქსირდება თბილისის ტერიტორიაზე გამწვანებული სივრცეების მატება, მაგრამ ეს ხელოვნურ გაზრდად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან ამ დროს მოხდა თბილისის საზღვრების ცვლილება. მნიშვნელოვნად გაიზარდა საცხოვრებელი ზონა. ამ გრაფიკიდან მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ საცხოვრებელი ზონა 5-ის და საცხოვრებელი ზონა-6 ის მასიური ცვლილება არ მომხდარა, მხოლოდ სივრცის ათვისება მოხდა. დამუშავდა გეგმარებითი შეზღუდვების რუკა, რომელიც ეკონომიკურ შედეგებთან პირდაპირ არის დაკავშირებული. დამუშავდა სართულიანობის ბალანსის რუკა, სადაც განისაზღვრა

უბნების მიხედვით სართულიანობა. დამუშავდა ტერიტორიის განვითარების ტენდენციებისა და განაშენიანებული ტერიტორიების განვითარების პოტენციალის რუკები.

კომისიის სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. შეკითხვები ჰქონდათ ირაკლი ზარქუას, ლევან დარახველიძეს, ვახტანგ შაქარიშვილს, ალექსანდრე ხუჯაძეს. შეკითხვებზე განმარტეს გიორგი აბაშიძემ და რევაზ სოხაძემ. სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებს და გიორგი აბაშიძეს აქტიური მუშაობისათვის და აღნიშნა, რომ დოკუმენტის განხილვა გაგრძელდება და ამ მიზნით საკრებულოშიც კიდევ არაერთი შეხვედრა გაიმართება.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე

ირაკლი ზარქუა